# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
# დადგენილება №01-06-02/08

ქ. თბილისი 17 მარტი 2023

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტის შრომის ანაზღაურების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 17 მარტის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 200 (ორასი) ლარის ოდენობით;
2. ამ დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება გაიცეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე;
3. დადგენილება გავრცელდეს 2022 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

**სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)**
**სპიკერი, პროფესორი** **ჯემალ გახოკიძე**